ოქმი:**ო63. 63260432**
თარიღი:**12/02/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ.სამტრედია 28 იანვარი, 2026 წელი.

მიმდინარე წლის 28 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, მაია ტალაბაძე, გოჩა არველაძე, თნგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე, მარიამ ცომაია, ლაშა მუქერია, გიორგი გაგუა, ანა გეგეშიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ნატო ჯულაყიძე.

2. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურისა და საინვენსტიციო, საგრანტო პროექტების მომზადებისა და განხორციელების საკითხებში უფროსი სპეციალისტი სერგო კოპალეიშვილი.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრთა (9) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, და წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა და დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის** განვითარების ხელშეწყობის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე **კომერციული ბანკის** შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის დებულების** დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების **მიწის ნორმატიული ფასის** განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

5. ქალაქ სამტრედიის ტერიტორიის **გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის** დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის** დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის** განვითარების ხელშეწყობის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

<u>მანანა სირბილაძე -</u> <u>მოგახსენებთ, რომ საკრებულოში შემოვიდა</u> სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N62-6226026124 26/01/2026წ. წერილობითი მომართვა,სადაც წარმოდგენილია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2026 წლის პროგრამა (დანართი № 1).

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,ბინათმესაკუთრეთა

№	ღონისძიებების დასახელება	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროცენტული წილი
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის დაზიანებული სახურავის (ბრტყელი ქანობიანი) კაპიტალურად შეკეთებისათვის ჩასატარებელი სამუშაოები, რომელიც გულისხმობს ბრტყელი გადახურვის შემთხვევაში, დაზიანებული სახურავის დემონტაჟს, ცემენტის რთული ხსნარით მოწყობას (მოჭიმვას), ორი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალით სახურავის მოწყობას (სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები არ განხორციელდება ვიდრე ის არ გათავისუფლდება წყლის ავზებიდან და სხვა მოწყობილობებიდან); ქანობიანი სახურავის შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ხის მასალის შეცვლა (სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის გათვალისწინებით), გადახურვის დემონტაჟი, ახლით მონტაჟი მოთუთუებული თუნუქის საფარით, საჭიროების შემთხვევაში სავენტილაციო და საბუხრე არხების აგურის წყობის აღდგენა და შემოსვა ფურცლოვანი თუნუქით, არსებული თუნუქის სახურავის შეღებვითი სამუშაოები.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. სამუშაოების თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია; 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს: სადარბაზოების შესასვლელი რკინის, საკეტიანი და შვეიცარიანი კარებების მონტაჟს; სადარბაზოში კარებამდე მისასვლელი პანდუსის მოწყობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის; სადარბაზოს კარებამდე მისასვლელი კიბეებისა და ამორტიზირებული კიბეების კონსტრუქციის სრულ ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას; შესასვლელის გადახურვის კონსტრუქციისა და ბაქანის რეაბილიტაციას; მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმას და სადარბაზოებში არსებული წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციას. სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ იმ ბენათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის, რომლებსაც მოწესრიგებული აქვთ საცხოვრებელი სახლის სახურავი.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. სამუშაოების თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია; 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შიდა რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს; სადარბაზოს დაზიანებული კედლებისა და ჭერის შელესვა-შეღებვას; დაზიანებული კიბის საფეხურების აღდგენას; მოაჯირების გამაგრება-შეღებვას; კიბის ბაქნების მოჭიქული ფილებით მოპირკეთებას; სადარბაზოს შიდა სენსორული განათების მოწყობას (ინდივიდუალურად, პირად დენის მრიცხველზე დაერთებით); სხვენში ასასვლელი ლუქის, სახურავზე გასასვლელი და სარდაფში ჩასასვლელი კარების შეკეთება-აღდგენას (აუცილებლობის შემთხვევაში ახლის მოწყობა); სადარბაზოს შესასვლელი რკინის კარების მონტაჟს (საკეტით და შვეიცარით);	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. სამუშაოების თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია; 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

3	მელატოპლასტმასის ფანჯრებისა და ვიტრაჟების მოწყობას; სადარბაზოს შიგა წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციას (ან გარეთ გატანას); სადარბაზოში გამავალი სხვადასხვა საკომუნიკაციო სადენების (ტელეფონი; ტელევიზია; ინტერნეტი და სხვა) კანალარხებში მოთავსებას; სადარბაზოში კარებამდე მისასვლელი კიბეებისა და შესასვლელის გადახურვის კონსტრუქციისა და ბაქნის რეაბილიტაციას; სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ იმ ბენათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის, რომლებსაც მოწესრიგებული აქვთ საცხოვრებელი სახლის სახურავი.	
4	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული წყლისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. სამუშაოების თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია; 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საკუთარი ხარჯებით. სამუშაოების თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია; 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურის მოწყობა (საბავშვო ატრაქციონების, დასასვენებლად განკუთვნილი ფანჩატურის, მარტივი ტიპის სტაციონარული ,,ტრენაჟორების მოწყობა, ძელსკამების შეძენა-მონტაჟი''.	ამხანაგობის მოთხოვნის საფუძველზე, სრულყოფილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადებას უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი ხარჯებით. სამუშაოების და მოწოდება-მონტაჟის თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია; 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.
7	ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების რეაბილიტაცია, ასევე მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, ქალაქ სამტრედიის იერსახის მოწესრიგებისათვის.	სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საჭიროების შემთხვევაში, თანმდევი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ, წარმოდგენილ უნდა იქნეს სამუშაოების განხორციელების თანხმობის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი. დაფინანსება: 100% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.
8	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული ფასადების კაპიტალურად შეკეთებისთვის ჩასატარებელი სამუშოები, რომელიც გულისხმობს: ფასადზე დაზიანებული ნალესის დემონტაჟს და შელესვას. ენერგო-ეფექტურობისთვის ფასადის თბოიზოლაციით შეფუთვა, შელესვა, შეფითხვნა-შეღებვა, ფასადის კარ-ფანჯრების შეცვლა (აუცილებლობის შემთხვევაში) აივნების მოაჯირების	ამხანაგობის მოთხოვნის საფუძველზე, სრულყოფილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადებას უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი ხარჯებით. სამუშაოების და მოწოდება-მონტაჟის თანადაფინანსება: 95% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია; 5% - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

	შეკეთება.	

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა 9 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე **კომერციული ბანკის** შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მანანა სირბილაძე - წარმოგიდგენთ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილი №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებას. აღნიშნული ცვლილებით, გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 09 იანვრის GOV 7 26 00000292 მომართვაში მითითებული რეკომენდაციები.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა 9 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის დებულების** დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N62-6226026127 26/01/2026წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ; საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 57- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მერის პირველი მოადგილე/მოადგილე (მოადგილეები) ფუნქციათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობენ) მერიის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ დარგს (დარგებს), ორგანიზებას უწევს (უწევენ) და აკონტროლებს (აკონტროლებენ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მერის დავალებების შესრულებას, მერიის დებულების შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს (გამოსცემენ) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის (მოადგილეების) უფლებამოსილებები განისაზღვრება მერიის დებულებით. ცვლილების შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განისაზღვრება, რომ მერის პირველი მოადგილე უხელმძღვანელებს ასევე საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა 9 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების **მიწის ნორმატიული ფასის** განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N62-622602726 27/01/2026წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ'' დადგენილება.

დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ'' ოქმს თან ერთვის (9 ფურცლად).

<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიის ტერიტორიის **გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის** დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში აისახება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და მის საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებების მოთხოვნები, მათ შორის ,,სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება და ,,ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურისა და საინვენსტიციო, საგრანტო პროექტების მომზადებისა და განხორციელების საკითხებში (უფროსი სპეციალისტი) სერგო კოპალეიშვილმა. სხდომა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მან ამომწურავად გასცა პასუხი თითოეულ დასმულ შეკითხვას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა 9 (ცმით) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის** დამტკიცების შესახებ.

მანანა სირბილაძე - წარმოგიდგენთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმას.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2026 წლის სამოქმედო გეგმა.

1. 2026 წლის, სამტრედიის მუნიციპალიტეტში საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი).

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის განხილვა და ანალიზი. (თებერვალი).

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და გეგმის განხილვა (თებერვალი).

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის შესახებ, დადგენილების პროექტის განხილვა და ანალიზი. (1 მარტამდე).

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება (მაისი).

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ 2026 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი).

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა. (ნოემბერი).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა 9 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის მდივანი: / ლია ყურულაშვილი /

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი